სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

00971800838018

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N181323104

რეგისტრაციის თარიღი

26.10.2018 წ

ნოტარიუსი: მერაბ ფარჯიკია
მისამართი: ქ. თბილისი ვ/ფშაველას 41
ტელეფონი: მობილური 591 709 989 599 19 64 09

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორიათას თვრამეტი წლის ოცდაექვს ოქტომბერს, მე, მერაბ ფარჯიკიას ნოტარიუსს ქ. თბილისში რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 41-ში, მომმართა ბინათმშენებლობის ამხანაგობა ''აგრარული აკადემია 2005''-ის (ს/კ 205197945) თავმჯდომარემ კონსტანტინე სარაჯიშვილმა (თანახმად ამონაწერისა ინფორმაცია საგადასახადო რეგისტრაციის შესახებ (გარდა მეწარმეთა შესახებ კანონით განსაზღვრული სუბიექტებისა საინდ. კოდი #205197945), რომელმაც მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს შპს ''მეტი დეველოპმენტი''-ს (თანახმად ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან საინდ. კოდი #404541812, ამონაწერის მომზადების თარიღი B17077833, 27/07/2017 10:48:13) დირექტორს მურმან ხაზალიას (**დაბ.06.09.1974წ.** პირადი # 19001014947, რეგისტრირებული : თბილისი მისამართის გარეშე). მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავწმუნდი, რომ მე ნამდვილად **კონსტანტინე სარაჯიშვილმა** (დაბადებული:14.07.1937წ. პირადი №01017003812, რეგისტრირებული: **თბილისი წყნეთის ქ. 1/1"ა" ბ. 12**) მომმართა. მე შევამოწმე მიმნდობის ქმედუნარიანობა და ნების გამოვლენის ნამდვილობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა, შემდეგ შევადგინე მინდობილობის ტექსტი, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მიმნდობს. მიმნდობმა წაიკითხა მინდობილობის ტექსტი და მკაფიოდ განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას. მიმნდობმა ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მინდობილობას, რასაც ვამოწმებ.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, ბინათმშენებლობის ამხანაგობა ''აგრარული აკადემია 2005''-ის (ს/კ 205197945) თავმჯდომარე კონსტანტინე სარაჯიშვილი, რომელიც შემდგომში წოდებულია, როგორც „მიმნდობი“, **შპს ''მეტი დეველოპმენტს'' დირექტორს** მურმან ხაზალიას, რომელიც შემდგომში წოდებულია როგორც „მინდობილი პირი“, ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას:

მინდობილი წარმოადგენს **ბინათმშენებლობის ამხანაგობა ''აგრარული აკადემია 2005''-ს** თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და მის სამსახურებში, მათ შორის არქიტექტურის და ზედამხედველობის სამსახურში, ასევე ქალაქ თბილისის საკრებულოში, ამხანაგობის კუთვნილ მიწის ნაკვეთთან (მისამართი: ქალაქი თბილისი, გამზირი ალ. ყაზბეგი, #34, დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 5237.00კვ.მ, საკადასტრო კოდი: 01.14.03.040.220) დაკავშირებით მიმნდობი მინდობილ პირს ანიჭებს უფლებამოსილებას ზემოთაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე შეათანხმოს განაშენიანების რეგულირების გეგმა და საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს მისი კორექტირება, იყოს პროექტის დამკვეთი, წარადგინოს შესათანხმებლად დემონტაჟის პროექტი და მიიღოს დემონტაჟის ნებართვა. მოითხოვოს და მიიღოს შესაბამისი დოკუმენტაცია. ჰქონდეს შეუზღუდავი წვდომა სსიპ თბილისის არქიტექტურის საიტზე რეგისტრირებულ მარწმუნებლის, როგორც მომხმარებლის პირად გვერდზე. შეასრულოს ნებისმიერი სხვა მოქმედება რაც პირდაპირ მითითებული არ არის რწმუნებულებაში, მაგრამ საჭიროა ამ დავალების შესასრულებლად.

ამასთან, არ შეიძლება შეიზღუდოს მინდობილი პირის უფლებამოსილება, იმის გამო, რომ მინდობილი პირის უფლებამოსილებანი ამომწურავად არ არის მითითებული. წინამდებარე მინდობილობის ფარგლებში, მინდობილი პირი უფლებამოსილია, საზოგადოების სახელით შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რომელიც აუცილებელია საზოგადოების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

წინამდებარე მინდობილობა გაცემულია თვის ვადით სხვა პირებზე გადანდობის უფლებით და ძალაშია მის გაუქმებამდე. მინდობილობა შეიძლება შეწყდეს ნებისმიერ დროს. შეწყვეტა უნდა გაფორმდეს სანოტარო წესით.

აღნიშნული მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად ერთი ინახება სანოტარო ბიუროში ხოლო დანარჩენი გადაეცათ მხარეებს.

მინდობილობას თან ერთვის: ამონაწერი ინფორმაცია საგადასახადო რეგისტრაციის შესახებ (გარდა მეწარმეთა შესახებ კანონით განსაზღვრული სუბიექტებისა საინდ. კოდი #205197945).

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური თანახმად "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" (29.12.2011წელი, საქართველოს მთავრობის დადგენილება № 507) 10 (ათი) ლარი – მუხლი 31, დღგ 1.80 ლარი - თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, 2 (ორი) ლარი ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის – მუხლი 39, თანახმად ზემოთ მითიებული დადგენილებისა.

მიმნდობის ხელმოწერა: _____

ნოტარიუსი მერაბ ფარჯიკია